სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

12 მარტი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 22

2024 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის მოხსნის შესახებ

„თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტის 2025 წლის 12 მარტის სამსახურებრივი ბარათის (N267832) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადი:

შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
GTC-24-1076	რადიოსენსიტიზური ეფექტის მქონე ოქროს და გრაფენის ოქსიდის ნანონაწილაკებ ჩართული წყალმცენარეების ალგოსომებზე დაფუძნებული წამლის მიზანმიმართული მიწოდების სისტემების დიზაინი, წარმოება და მათი ეფექტურობის შეფასება, მეტოტრექსატისა და დოქსორუბიცინის ქმედუნარიანობის გაძლიერების და მკერდის კიბოს საწინააღმდეგო ქმედების შესწავლით	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი